



საინტერესოა ერთი რამ: უმაღლესი ლივის საკავშირო კალენდარი ვილაცამ ისე დაგეგმა, რომ სუსხიანი მარტის პირველ რიცხვებში სსრ კავშირის ჩემპიონატის უმნიშვნელოვანესი მატჩები ჩართო, ხოლო მომდევნო პერიოდში, როცა მთელს ჩვენს ქვეყანაში, ჩრდილოეთშიც კი, გაზაფხული შედის ძალაში და სითბო მატულობს. კალენდრის უძვირფასესი დრო ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის თასს დაუთმო(!). განა ეს ლოგიკურია, რომ პირველხარისხოვანი შეჯიბრების დიდმნიშვნელოვანი მატჩები მარტის თოვლ-ჭყაპსა და ხელოვნურ საფარზე ჩატარდეს, ხოლო ფედერაციის თასის მესამეხარისხოვანი თამაშები კი აპრილისა და მაისის აბიზინებულ ბალახზე? თუ სეზონის გახანგრძლივებაზეა ლაპარაკი, რაც ფრიად საჭირო ამბავი გახლავთ, საკავშირო ღონისძიებები უნდა დაეინციოთ ფედერაციის თასის გათამაშებით, ხოლო უმთავრეს შეჯიბრებას, საკავშირო ჩემპიონატს, შევუდგეთ ცოტა მოგვიანებით, ე.ი. სულ უბრალოდ: ფედერაციის თასის მატჩები დაიგეგმოს მარტში, ხოლო ოქროს მედლებისთვის გამართული ბრძოლა კი მაისში. ალბათ, მოვა დრო, როცა კალენდრის „ავტორები“ გაითვალისწინებენ ამ ყველაფერს ცხად და გასაგებ ამბავს.

მაგრამ რა ვუყოთ ლენინგრადში და მოსკოვში წაგებულ მატჩებს? ობიექტური თუ სუბიექტური არგუმენტების მოშველიება რას მოგვცემს, როცა სტუმრად ჩატარებული ორი მატჩიდან შინ ვერც ერთი ქულა ვერ ჩამოვიტანეთ! უმთავრესი მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ახლანდელი ცხადი და აშკარა პროგრესის მოხედვად ჩვენი გუნდი ჯერ კიდევ ვერ მომაგრდა, ვერ მომძლავრდა იმდენად, რომ თავის ძველ სტანდარტებს გაუტოლდეს და მყარად დადგეს ორივე ფეხზე. ჯერ კიდევ მაშინ, როცა თბილისში პირველი ორი მატჩი მოვიგეთ, კრიტიკის თვალთ ვუთვალთვალეზდით ჩვენს ცალკეულ ფეხბურთელებს. საიდუმლო არაა და ამის დამალვა არც მოგვცემს ხელს, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამაა მოსაწესრიგებელი თბილისის „დინამოს“ ნახევარდაცვის რგოლში, რომ ხშირია მცველთა გაუმართლებელი შეცდომები, რომ ყოველი კონკრეტული მატჩის ცალკეულ მონაკვეთში გუნდი მკვეთრად უკლებს ტემპს, ირღვევა საერთო ურთიერთმოქმედება, თავს იჩენს უხეირო თამაშის ძველი რეციდივები. სამართლიანი პრეტენზიები გვაქვს გუნდის ცალკეულ მოთამაშეთა სანებისყოფო თვისებების მიმართაც: ლენინგრადის „ზენიტთან“ ძნელი მატჩის ერთ პერიოდში ანგარიში გავათანაბრეთ, მერე კი დავთმეთ თამაში, მოსკოვის „ლოკომოტივთან“ პირველი ტაიმი მოვიგეთ, მაგრამ შემდეგ მეტოქეს გადავაბარეთ ინიციატივა. ჯერ კიდევ ცხადად შესამჩნევია, რომ თბილისის „დინამო“ მეტოქის მინდორზე შებორკილად, უნიციატივოდ თამაშობს, ასეთ ვითარებაში კი დიდ წარმატებებზე ფიქრი შეუძლებელია საქმეა.

ისევე როგორც ლენინგრადში, მოსკოვის „ლოკომოტივთანაც“ დინამოელებს ურიგოდ არ უთამაშიათ, ამიტომაც, საპანიკო, ჩვენი აზრით, არაფერი გვაქვს. დარწმუნებული ვართ, რომ ისინი გულდასმით ანალიზს გაუკეთებენ თითოეულ შეცდომას, ყოველნაირად შეეცდებიან შემდგომ საპასუხისმგებლო მატჩებში, კერძოდ, მოსკოვის „დინამოსთან“, გამოასწორონ ისინი.

შეგვეძლო თუ არა თავიდან აგვეცილებინა დამარცხება „ლოკომოტივთან“, როცა პირველი ბურთი ჩვენ გავიტანეთ და შემდგომშიც რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტი შევქმენით მასპინძელთა კართან (ძელმა ორჯერ იხსნა „ლოკომოტივი“ აშკარა გოლისგან), მაგრამ საკმარისი გახდა მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეუთანხმებლად, ეთამაშათ ჩვენს მცველსა და მეკარეს, რომ რუსიაემა მოასწრო თავს ზემოთ

გადაეგდო ბურთი გაბელიასთვის და ანგარიშიც გათანაბრდა. 74-ე წუთზე „დინამოს“ მცველებმა კვლავ უზუსტოდ ითამაშეს და რუსიაევს შესაძლებლობა მიეცა მეორედ გაეგზავნა ბურთი კარში. თბილისელები კი გურულის მიერ მე-12 წუთზე პენალტით გატანილ ერთადერთ გოლს დასჯერდნენ.

მატჩის მეორე დღეს რედაქციაში გვირეკავდნენ, ბევრმა კრიტიკული შენიშვნებით აღსავსე წერილიც მოიტანა იმის თაობაზე, რომ ჩვენი გუნდის 4-ქულიან სასტარტო აქტივს ასეთივე 4-ქულიანი პასივი მოჰყვა. გულშემატკივრები სამართლიანად მოითხოვენ ახსნა-განმარტებას.

ფეხბურთს ასეთი დაუნერვლი კანონი აქვს: გულშემატკივარი მუდამ მართალია. შეიძლება ითქვას, იგი ახლაც მართალია, როცა პირველი ორი გამარჯვების შემდგომი მარცხის მიზეზების სათავეს ეძებს, მაგრამ, ვფიქრობთ, ყველა, თუნდაც ყველაზე უფრო კრიტიკულად განწყობილი კაციც დაგვეთანხმება, რომ იმ რთულ გარდაქმნას, რომელსაც ამჟამად ჩვენი გუნდი განიცდის, ასე უცბად არ შეიძლება მოჰყვეს ასპროცენტინი წარმატება. შესაძლოა ჯერ კიდევ გვექნეს ჩავარდნილი მატჩები, წაგებასაც საკმარისად მოვესწრებით, მაგრამ იმედის გადასაწურავი საბაბი ჯერ არაფერი გვაქვს. თბილისის „დინამო“ ეძიებს თავის თამაშს, ახალგაზრდებიც და ვეტერანებიც თავგამოდებით იბრძვიან და ეჭვი არაა, ყოველივე ამას მალე მოჰყვება გამართული, სტაბილური, ხარისხიანი თამაში, მთავარია რწმენა არ დაგვარგოთ და საიმედოდ ვედგათ გვერდში ჩვენს გუნდს, გვნამდეს მისი, გვჯეროდეს იმ ახალგაზრდებისა, რომლებმაც კვლავ უნდა დაუბრუნონ თბილისის „დინამოს“ ადრინდელი სიძლიერე.

„ლელოს“ ფეხბურთის განყოფილება

ლელო 29.03.88